

## 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის კონკურსში მონაწილეობის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების პირობების თანახმად (იხ. გაზეთი „რეზონანსი“, 31 ივლისი, 2018 წ. №162), აკადემიური საბჭო ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით (2/3-ით), ფარული კენჭისყრით ინდივიდუალურად წყვეტს 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის საკითხს.

65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირმა შესაბამის საკონკურსო კომისიაში დამატებით უნდა წარადგინოს აკადემიური საბჭოს თანხმობა. ამ მიზნით მან განცხადება უნდა შეიტანოს უნივერსიტეტის კანცელარიაში კონკურსის გამოცხადების თაობაზე განცხადების გამოქვეყნებიდან 2018 წლის 04 სექტემბრის ჩათვლით.

65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის დასწრება აკადემიური საბჭოს სხდომაზე მისი საკითხის განხილვისას სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი არ განიხილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკურსანტი სტუ-ის დავალებით იმყოფება მივლინებაში ან აქვს გამოუცხადებლობის ობიექტური მიზეზი. ასეთ შემთხვევაში კონკურსში მონაწილე 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის იდენტიფიცირების მიზნით (აუცილებელი პირობაა) მოხდება ვიზუალური ტელე-საკომუნიკაციო სისტემის გამოყენებით კონკურსანტის ინტერვიუება აკადემიური საბჭოსა და საკონკურსო კომისიის მხრიდან გადაწყვეტილების მისაღებად.

სტუ-ს აკადემიური საბჭო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს,  
აკადემიკოს ა. ფრანგიშვილს

მოქალაქე .....

დაბადებული .....

მცხოვრები .....

.....

.....

.....

.....

მობ. ტელეფონი .....

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ვარ . . . . წლის.

სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო 2018 წლის 31 ივლისის გაზეთ  
„რეზონანსში“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ  
გამოცხადებულ ღია კონკურსში

.....

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

გთხოვთ, ჩემს მიერ კონკურსში მონაწილეობის საკითხი განიხილოთ  
აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

ჩემთვის ცნობილია, რომ აკადემიური საბჭოს სხდომაზე აღნიშნული საკითხის  
განხილვისას ჩემი დასწრება სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში  
განცხადება არ განიხილება.

განმცხადებელი

..... 2018 წელი